

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №17
2016 წლის 31 მაისი

ქ. ტყიბული

„ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 22 დეკემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 მაისის №803 განკარგულების, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების საფუძველზე, შეტანილ იქნეს ცვლილება „ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 22 დეკემბრის №44 დადგენილების I და III თავებში (www.Matsne.gov.ge 24.12.2015 წ., 190020020.35.125.016190) აღნიშნულიდან გამომდინარე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 22 დეკემბრის №44 დადგენილებით დამტკიცებული დანართის I, III თავებში და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიას (თ. ცქიფურიშვილი).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებისთანავე.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

თამაზ კუბლაშვილი

დანართი

თავი I

ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის ფაქტი | | | 2016 წლის გეგმა | | |
|-------------|-----------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 7 778,1 | 7 940,1 | 2 645,0 | 5 295,1 | 8 181,0 | 2 747,2 | 5 433,8 |



| | | | | | | | |
|---------------------------------|---------|---------|---------|---------|----------|---------|---------|
| გადასახადები | 1 045,2 | 956,2 | 0,0 | 956,2 | 1 530,0 | 0,0 | 1 530,0 |
| გრანტები | 5 445,3 | 5 652,5 | 2 645,0 | 3 007,5 | 5 625,0 | 2 747,2 | 2 877,8 |
| სხვა შემოსავლები | 1 287,6 | 1 331,4 | 0,0 | 1 331,4 | 1 026,0 | 0,0 | 1 026,0 |
| ხარჯები | 4 392,1 | 5 250,7 | 105,6 | 5 145,1 | 5 338,8 | 4,4 | 5 334,4 |
| შრომის ანაზღაურება | 1 247,0 | 1 169,0 | 0,0 | 1 169,0 | 1 349,9 | 0,0 | 1 349,9 |
| საკონწელი და მომსახურება | 333,8 | 477,2 | 8,7 | 468,5 | 666,4 | 0,0 | 666,4 |
| სუბსიდიები | 2 465,1 | 2 953,8 | 0,0 | 2 953,8 | 2 729,5 | 0,0 | 2 729,5 |
| გრანტები | 0,0 | 183,4 | 0,0 | 183,4 | 153,0 | 0,0 | 153,0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 346,1 | 308,3 | 0,0 | 308,3 | 329,6 | 0,0 | 329,6 |
| სხვა ხარჯები | 0,1 | 159,0 | 96,9 | 62,1 | 110,4 | 4,4 | 106,0 |
| საოპერაციო სალდო | 3 386,0 | 2 689,4 | 2 539,4 | 150,0 | 2 842,2 | 2 742,8 | 99,4 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 2 992,4 | 2 796,3 | 2 400,9 | 395,4 | 3 584,2 | 3 062,8 | 521,4 |
| ზრდა | 2 996,9 | 2 910,1 | 2 400,9 | 509,2 | 3 634,2 | 3 062,8 | 571,4 |
| კლება | 4,5 | 113,8 | 0,0 | 113,8 | 50,0 | 0,0 | 50,0 |
| მთლიანი სალდო | 393,6 | -106,9 | 138,5 | -245,4 | -742,0 | -320,0 | -422,0 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 393,6 | -134,4 | 111,0 | -245,4 | -1 005,9 | -564,9 | -441,0 |
| ზრდა | 393,6 | 111,0 | 111,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 393,6 | 111,0 | 111,0 | 0,0 | 0,0 | | 0,0 |
| კლება | 0,0 | 245,4 | 0,0 | 245,4 | 1 005,9 | 564,9 | 441,0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | | 245,4 | 0,0 | 245,4 | 1 005,9 | 564,9 | 441,0 |
| ვალდებულებების ცვლილება | 0,0 | -28,2 | -27,5 | -0,7 | -263,9 | -244,9 | -19,0 |
| კლება | 0,0 | 28,2 | 27,5 | 0,7 | 263,9 | 244,9 | 19,0 |
| საშინაო | 0,0 | 28,2 | 27,5 | 0,7 | 263,9 | 244,9 | 19,0 |
| ბალანსი | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 |



მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის ფაქტი | | | 2016 წლის გეგმა | | |
|------------------------------|-----------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსულობები | 7 782,6 | 8 053,9 | 2 645,0 | 5 408,9 | 8 231,0 | 2 747,2 | 5 483,8 |
| შემოსავლები | 7 778,1 | 7 940,1 | 2 645,0 | 5 295,1 | 8 181,0 | 2 747,2 | 5 433,8 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 4,5 | 113,8 | 0,0 | 113,8 | 50,0 | 0,0 | 50,0 |
| ფინანსური აქტივების კლება | 0,0 | 245,4 | 0,0 | 245,4 | 1 005,9 | 564,9 | 441,0 |
| გადასახდელები | 7 389,0 | 8 160,8 | 2 506,5 | 5 654,3 | 8 973,0 | 3 067,2 | 5 905,8 |
| ხარჯები | 4 392,1 | 5 250,7 | 105,6 | 5 145,1 | 5 338,8 | 4,4 | 5 334,4 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 2 996,9 | 2 910,1 | 2 400,9 | 509,2 | 3 634,2 | 3 062,8 | 571,4 |
| ფინანსური აქტივების ზრდა | 393,6 | 111,0 | 111,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ნაშთის ცვლილება | 393,6 | -135,1 | 111,0 | -246,1 | -1 005,9 | -564,9 | -441,0 |

მუხლი 3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 8181.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის ფაქტი | | | 2016 წლის გეგმა | | |
|--------------|-----------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 7 778,1 | 7 940,1 | 2 645,0 | 5 295,1 | 8 181,0 | 2 747,2 | 5 433,8 |
| გადასახადები | 1 045,2 | 956,2 | 0,0 | 956,2 | 1 530,0 | 0,0 | 1 530,0 |
| გრანტები | 5 445,3 | 5 652,5 | 2 645,0 | 3 007,5 | 5 625,0 | 2 747,2 | 2 877,8 |



| | | | | | | | |
|------------------|---------|---------|-----|---------|---------|-----|---------|
| სხვა შემოსავლები | 1 287,6 | 1 331,4 | 0,0 | 1 331,4 | 1 026,0 | 0,0 | 1 026,0 |
|------------------|---------|---------|-----|---------|---------|-----|---------|

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 1530,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | კოდი | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის ფაქტი | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---------|-----------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| გადასახადები | 11 | 1 045,2 | 956,2 | 0,0 | 956,2 | 1 530,0 | 0,0 | 1 530,0 |
| ქონების გადასახადი | 11311 | 1 045,2 | 956,2 | 0,0 | 956,2 | 1 100,0 | 0,0 | 1 100,0 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113111 | 773,7 | 658,1 | 0,0 | 658,1 | 980,0 | 0,0 | 980,0 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113113 | 4,5 | 2,5 | 0,0 | 2,5 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე | 1131131 | 0,7 | 0,3 | 0,0 | 0,3 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი | 113114 | 15,6 | 24,5 | 0,0 | 24,5 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ფიზიკური პირებიდან | 1131141 | 7,2 | 9,1 | 0,0 | 9,1 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი | 113115 | 251,4 | 271,1 | 0,0 | 271,1 | 120,0 | 0,0 | 120,0 |
| იურიდიული პირებიდან | 1131152 | 246,2 | 262,1 | 0,0 | 262,1 | 120,0 | 0,0 | 120,0 |

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 5625.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| | | | | |
|--|--|--|-----------------|-----------------|
| | | | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა |
|--|--|--|-----------------|-----------------|



| დასახელება | კოდი | 2014 წლის ფაქტი | მათ შორის | | | მათ შორის | | |
|---|------|-----------------|-----------|---|----------------------|-----------|---|----------------------|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| გრანტები | 13 | 5 445,3 | 5 652,5 | 2 645,0 | 3 007,5 | 5 625,0 | 2 747,2 | 2 877,8 |
| სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები | 133 | 5 445,3 | 5 652,5 | 2 645,0 | 3 007,5 | 5 625,0 | 2 747,2 | 2 877,8 |
| მიმდინარე დანიშნულების გრანტები | 1331 | 5 011,6 | 5 220,9 | 2 213,4 | 3 007,5 | 5 191,9 | 2 314,1 | 2 877,8 |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | | 2 713,4 | 2 867,5 | 0,0 | 2 867,5 | 2 727,8 | 0,0 | 2 727,8 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | | 125,7 | 140,0 | 0,0 | 140,0 | 150,0 | 0,0 | 150,0 |
| ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად | | 2 172,5 | 2 213,4 | 2 213,4 | 0,0 | 2 314,1 | 2 314,1 | 0,0 |
| კაპიტალური დანიშნულების გრანტები | 1332 | 433,7 | 431,6 | 431,6 | 0,0 | 433,1 | 433,1 | 0,0 |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | | 433,7 | 431,6 | 431,6 | 0,0 | 433,1 | 433,1 | 0,0 |

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1026.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | კოდი | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის ფაქტი | | | 2016 წლის გეგმა | | |
|--------------------------|------|-----------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| სხვა შემოსავლები | 14 | 1 287,6 | 1 331,4 | 0,0 | 1 331,4 | 1 026,0 | 0,0 | 1 026,0 |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 141 | 1 104,6 | 1 104,5 | 0,0 | 1 104,5 | 852,5 | 0,0 | 852,5 |
| პროცენტები | 1411 | 175,8 | 119,6 | 0,0 | 119,6 | 70,0 | 0,0 | 70,0 |



| | | | | | | | | |
|--|--------|-------|-------|-----|-------|-------|-----|-------|
| რენტა | 1415 | 928,8 | 984,9 | 0,0 | 984,9 | 782,5 | 0,0 | 782,5 |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 14151 | 928,8 | 983,8 | 0,0 | 983,8 | 782,5 | 0,0 | 782,5 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 14154 | 0,0 | 1,1 | 0,0 | 1,1 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| საკონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 142 | 36,9 | 37,9 | 0,0 | 37,9 | 70,0 | 0,0 | 70,0 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 1422 | 36,9 | 37,9 | 0,0 | 37,9 | 70,0 | 0,0 | 70,0 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 14223 | 36,9 | 37,8 | 0,0 | 37,8 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 142212 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 142214 | 0,0 | 0,1 | 0,0 | 0,1 | 70,0 | 0,0 | 70,0 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 143 | 137,1 | 127,7 | 0,0 | 127,7 | 100,0 | 0,0 | 100,0 |

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 5338.8 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის ფაქტი | | | 2016 წლის გეგმა | | |
|-------------------------|-----------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| ხარჯები | 4 392,1 | 5 250,7 | 105,6 | 5 145,1 | 5 338,8 | 4,4 | 5 334,4 |
| შრომის ანაზღაურება | 1 247,0 | 1 169,0 | 0,0 | 1 169,0 | 1 349,9 | 0,0 | 1 349,9 |
| საკონელი და მომსახურება | 333,8 | 477,2 | 8,7 | 468,5 | 666,4 | 0,0 | 666,4 |
| სუბსიდიები | 2 465,1 | 2 953,8 | 0,0 | 2 953,8 | 2 729,5 | 0,0 | 2 729,5 |
| გრანტები | 0,0 | 183,4 | 0,0 | 183,4 | 153,0 | 0,0 | 153,0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 346,1 | 308,3 | 0,0 | 308,3 | 329,6 | 0,0 | 329,6 |



მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება
 განისაზღვროს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 3584.2 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის ფაქტი | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---------------------------------|-----------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 2 992,4 | 2 796,3 | 2 400,9 | 395,4 | 3 584,2 | 3 062,8 | 521,4 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 2 996,9 | 2 910,1 | 2 400,9 | 509,2 | 3 634,2 | 3 062,8 | 571,4 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 4,5 | 113,8 | 0,0 | 113,8 | 50,0 | 0,0 | 50,0 |

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია
 განისაზღვროს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

| ფუნქც. კოდი | დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის ფაქტი | | | 2016 წლის გეგმა | | |
|-------------|---|-----------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| 701 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 1 310,8 | 1 828,3 | 0,0 | 1 828,3 | 1 974,6 | 0,0 | 1 974,6 |
| 7011 | ადმსარულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 1 310,8 | 1 828,3 | 0,0 | 1 828,3 | 1 974,6 | 0,0 | 1 974,6 |
| 70111 | ადმსარულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 1 310,8 | 1 828,3 | 0,0 | 1 828,3 | 1 964,4 | 0,0 | 1 964,4 |



| | | | | | | | | |
|-------|---|---------|---------|---------|-------|---------|---------|-------|
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 10,2 | 0,0 | 10,2 |
| 7018 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 702 | თავდაცვა | 74,1 | 73,5 | 0,0 | 73,5 | 90,9 | 0,0 | 90,9 |
| 703 | საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 179,0 | 199,0 | 0,0 | 199,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7031 | პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7032 | ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა | 179,0 | 199,0 | 0,0 | 199,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 704 | ეკონომიკური საქმიანობა | 2 079,6 | 2 077,6 | 1 756,1 | 321,5 | 1 478,7 | 1 119,9 | 358,8 |
| 7045 | ტრანსპორტი | 2 028,7 | 1 946,5 | 1 751,6 | 194,9 | 1 350,7 | 1 056,4 | 294,3 |
| 70451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 2 028,7 | 1 946,5 | 1 751,6 | 194,9 | 1 350,7 | 1 056,4 | 294,3 |
| 7049 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში | 50,9 | 131,1 | 4,5 | 126,6 | 128,0 | 63,5 | 64,5 |
| 705 | გარემოს დაცვა | 297,1 | 302,3 | 0,0 | 302,3 | 300,0 | 0,0 | 300,0 |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 297,1 | 302,3 | 0,0 | 302,3 | 300,0 | 0,0 | 300,0 |
| 706 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 806,3 | 697,0 | 336,2 | 360,8 | 1 152,3 | 738,9 | 413,4 |
| 7061 | ბინათმშენებლობა | 52,2 | 150,4 | 96,9 | 53,5 | 282,6 | 192,6 | 90,0 |
| 7062 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 239,3 | 247,1 | 0,0 | 247,1 | 228,4 | 0,0 | 228,4 |
| 7064 | გარე განათება | 51,5 | 54,8 | 0,0 | 54,8 | 95,0 | 0,0 | 95,0 |
| 7066 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 423,4 | 244,7 | 239,3 | 5,4 | 546,3 | 546,3 | 0,0 |
| 707 | ჯანმრთელობის დაცვა | 48,7 | 50,7 | 0,0 | 50,7 | 60,0 | 0,0 | 60,0 |



| | | | | | | | | |
|------|---|---------|---------|---------|---------|---------|---------|---------|
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 48,7 | 50,7 | 0,0 | 50,7 | 60,0 | 0,0 | 60,0 |
| 708 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 1 668,2 | 1 820,8 | 414,2 | 1 406,6 | 2 762,6 | 1 208,4 | 1 554,2 |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 1 629,3 | 1 774,8 | 414,2 | 1 360,6 | 2 705,6 | 1 208,4 | 1 497,2 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7083 | ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 38,9 | 46,0 | 0,0 | 46,0 | 34,5 | 0,0 | 34,5 |
| 709 | განათლება | 584,5 | 786,1 | 0,0 | 786,1 | 825,0 | 0,0 | 825,0 |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 584,5 | 786,1 | 0,0 | 786,1 | 802,5 | 0,0 | 802,5 |
| 710 | სოციალური დაცვა | 340,7 | 297,3 | 0,0 | 297,3 | 328,9 | 0,0 | 328,9 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 46,6 | 39,0 | 0,0 | 39,0 | 50,0 | 0,0 | 50,0 |
| 7107 | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 194,9 | 194,0 | 0,0 | 194,0 | 208,3 | 0,0 | 208,3 |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 99,2 | 64,3 | 0,0 | 64,3 | 70,6 | 0,0 | 70,6 |
| | სულ | 7 389,0 | 8 132,6 | 2 506,5 | 5 626,1 | 8 973,0 | 3 067,2 | 5 905,8 |

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -742.0 ათ. ლარის ოდენობით

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის ფაქტი | | | 2016 წლის გეგმა | | |
|------------------|-----------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| საოპერაციო სალდო | 3 386,0 | 2 689,4 | 2 539,4 | 150,0 | 2 842,2 | 2 742,8 | 99,4 |



| | | | | | | | |
|---------------------------------|---------|---------|---------|--------|---------|---------|--------|
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 2 992,4 | 2 796,3 | 2 400,9 | 395,4 | 3 584,2 | 3 062,8 | 521,4 |
| მთლიანი სალდო | 393,6 | -106,9 | 138,5 | -245,4 | -742,0 | -320,0 | -422,0 |

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განსაზღვროს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება – 1005.9 ათ. ლარის ოდენობით:

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის ფაქტი | | | 2016 წლის გეგმა | | |
|------------------------------|-----------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| ფინანსური აქტივების ზრდა | 393,6 | 111,0 | 111,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ფინანსური აქტივების კლება | 0,0 | 245,4 | 0,0 | 245,4 | 1 005,9 | 564,9 | 441,0 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 393,6 | -134,4 | 111,0 | -245,4 | -1 005,9 | -564,9 | -441,0 |

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 20,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილების შესაბამისად.

მუხლი 13. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული მიზნობრივი ტრანსფერი, 150,0 ათასი ლარი მიიძღვრება:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 60,0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 85,0 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 3,0 ათასი ლარი;

დ) „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 2,0 ათასი ლარი.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე, წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადაანაწილება.



მუხლი 14. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 15. მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ტყიბულის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

1.1 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის მუნიციპალიტეტში ხორციელდება პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა წვევამდელთა და სამხედრო სარეზერვო სამსახურისათვის პიროვნებების გაწვევის უზრუნველყოფა და შესაბამის სტრუქტურებში მათი ტრანსპორტირება.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და შემდგომი გაუმჯობესება. ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვისათვის დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯებიც.

2.1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული გზების მოვლა-შენახვა, ასევე საქალაქო ტრანსპორტის ფუნქციონირებისთვის საჭირო ღონისძიებები.

2.2. საქალაქო ტრანსპორტის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 01 01)

მნიშვნელოვანია შიდასაქალაქო ტრანსპორტის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა შიდასაქალაქო ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის არსებული დაბალი ტარიფის შენარჩუნება, რასაც მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვაც გააჩნია.

ქვეპროგრამა განხორციელდება ააიპ „ტყიბულის კომუნალური გაერთიანების“ სუბსიდირების გზით.

2.3. გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალური შიდა გზების მოვლა-შენახვა.

2.4. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი სახლების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის დახმარების პროგრამა კეთილმოწყობის სამუშაოების, გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. ბაღებისა და სკვერების მოვლა, მწვანე ნარგავების მოვლა, მუნიციპალიტეტის დასუფთავება შიდა გზებისა და საკანალიზაციო-სანიაღვრე სისტემების მოვლა-შენახვა.

2.4.1. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 01)



მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს ნორმალური სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გავალისწინებულია ქალაქის ქუჩების სისტემური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე საცხოვრებელი კორპუსების შიდა ბუნკერების და გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება.

განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული შენობა-ნაგებობის დასუფთავება, სანაგვე კონტეინერების და ნაგავსაყრელის მოვლა-შენახვა რაც გააუმჯობესებს ქალაქის სანიტარიულ და ეკოლოგიურ მდგომარეობას.

ქვეპროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების მოვლა-შენახვა და თოვლისგან გაწმენდა.

მუნიციპალიტეტში უპატრონო (მაწანწალა) ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს. განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილებისათვის.

ქვეპროგრამა განხორციელდება ააიპ „ტყიბულის კომუნალური გაერთიანების" სუბსიდირების გზით.

2.4.2. ბინათმშენებლობის (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საცხოვრებელი სახლების ბინათმშენებლობითი ამხანაგობების დახმარება. ამხანაგობები ძირითადად განხორციელებენ სახურავებისა და წყალგაყვანილობის სისტემების შეკეთება-რეაბილიტაციას, სადარბაზოების კეთილმოწყობას, საწრეტი მილების აღდგენასა და ბინების მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგებას, ასევე მათთვის საჭირო სხვადასხვა საქმიანობას.

2.4.3. კომუნალური მეურნეობის განვითარება (პროგრამული კოდი 03 02 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ნაგებობების მოვლა-შენახვა. გზებისა და ხიდების, გარე განათებების, ტროტუარების, მოაჯირების, სანიაღვრე და სადრენაჟე არხების, შადრევნების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია. სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობისა და გამწვანების სამუშაოები. სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება,

განხორციელდება მუნიციპალიტეტში მცხოვრებ უპატრონოთა და შეჭირვებულთა დაკრძალვა.

ქვეპროგრამა განხორციელდება ააიპ „ტყიბულის კომუნალური გაერთიანების" სუბსიდირების გზით.

2.4.4. გარე განათება, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტში ქუჩების განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ელექტროენერჯის საფასურის დაფარვა.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

3.1. სკოლამდელი დაფინანსების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 14 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 600-ზე მეტი ბავშვი.

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ



ყველა ხარჯს, მათ შორის: ბალის პერსონალის შრომის ანაზღაურებას, ბავშვთა კვებას, შენობების გათბობას, ბავშვებისათვის საახალწლო ღონისძიებებს და ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვა მიმდინარე ხარჯებს.

ქვეპროგრამა განხორციელდება ააიპ „ტყიბულის მინიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების" სუბსიდირების გზით.

3.2. სკოლამდელი ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 03)

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 14 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 600-ზე მეტი ბავშვი.

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების საამშენებლო და მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს.

4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდობა და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

